შპს „ვარციხე 2005“

დაბალი წნევის (8 ატმ) კომპრესორის შეძენა (ჰესი #2)

ტექნიკური დავალება

1. ზოგადი დახასიათება

თითოეული ჰიდროაგრეგატის მუშაობა უზრუნველყოფილია დამხმარე მოწყობილობებით, რომელიც უნდა იყოს მუდმივ მზადყოფნაში და გამართული.

ჰიდროაგრეგატის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ჰაერის მომზადება ტურბინის სახურავიდან წყლის გადამქაჩი ტუმბოების ჰაერის რელეს მუშაობისათვის, ტექნიკური წყალმომარაგების სისტემის ჰაერით შებერვისათვის, ჰიდრორაგრეგატის ჰაერის დამუხრუჭების სისტემის ფუნქციონირებისათვის. თითოეულ სადგურში დამონტაჟებულია 2 - 2 ერთეული დაბალი წნევის საკომპრესორო დანადგარები (ტიპი **K-5/M**, წნევა - **8 კგძ/სმ²,** წარმადობა - **5 მ³/წთ**).

აღნიშნული ტექნიკური დავალება ითვალისწინებს 1 (ერთი) კომპლექტი სტაციონალური კომპესორის მოწოდებას არსებულის პარამეტრების შესაბამისად **(წნევა - 8 კგძ/სმ², წარმადობა - 5 მ³/წთ.)**

2. შესყიდვის საგანი: საკომპრესორო დანადგარი

- წნევა: 8 ატმ
- წარმადობა: 5 მ³/წთ
- ძაბვა: 380 ვ
- სიხშირე: 50 ჰც
- სტაციონალური
- ავტომატური გაშვების რეჟიმი: არა
- საექსპლუატაციო ტემპერატურა: +10C-დან +40 C-მდე;

3. მოთხოვნები

- საკომპესორო დანაგარი - დახურულ სათავსოში განლაგების, სტაციონალური.
- დანადგარი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციის გარეშე.
- დანადგართან ერთად მოწოდებული უნდა იყოს ასევე საკომპრესორო დანაგარის დოკუმენტაცია:
- დანადგარის პასპორტი
- ტექნიკური აღწერილობა (ქართულ ან რუსულ ენაზე)
- სამონტაჟო და საექსპლუატაციო დოკუმენტაცია (ქართულ ან რუსულ ენაზე).

4. მომსახურების პირობები:

- მოწოდება
- მონტაჟი
- შემდგომი საგარანტიო-საექსპლუატაციო მომსახურება.

შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია